ჩემპიონატი

თბილისის “დინამო” კვლავ გათამაშების ლიდერია

კოკისპირულმა წვიმამ და ძლიერმა სეტყვამ ვერ შეაშინა ფეხბურთის მოყვარულნი. მიუხედავად ცუდი ამინდისა, 30 მაისს ბერიას სახელობის სტადიონზე ატარებულ მატჩს 50.000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ასეთი დიდი ინტერესი სავსებით გასაგებია. საფეხბურთო მოედანზე ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ საბჭოთა კავშირის ოსტატ ფეხბურთელთა უძლიერესი გუნდები – სსრკ ჩემპიონი **მოსკოვის “სპარტაკი” და მიმდინარე წლის პირველობის გათამაშების ლიდერი – თბილისის “დინამო”.**

დაიწყო თამაში. თბილისის დინამოელებმა, ტაიმის პირველი წუთიდანვე ბურთის სწრაფი და ზუსტი გადაცემებით თავბრუდამხვევი ტემპი განავითარეს და მთელი რიგი იერიშები მიიტანეს მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანზე. “სპარტაკის” დამცველები, კერძოდ საბჭოთა კავშირში ცნობილი ფეხბურთელები – ა. სტაროსტინი, ვასილ და ვიქტორ სოკოლოვები იძულებული გახდნენ გოლისაგან თავის დასაღწევად მოედანს გარეთ გაეგზავნათ ბურთები, ასე, მაგალითად, ა. სტაროსტინი, რომელიც ფეხდაფეხ დასდევდა პაიჭაძეს, მე-3 და მე-7 წუთზე კორნერში გზავნის ბურთს.

თბილისის დინამოელთა უპირატესი თამაში კვლავ გრძელდება. გააქტიურდა თავდამსხმელთა ხუთეულის მარჯვენა ფრთა, კერძოდ – ჯეჯელავა, რომლის ჩაკეტვა ვერ შეძლო ვასილ სოკოლოვმა. მარჯვენა ფრთიდან გარღვევაზე გასვლის შემდეგ ჯეჯელავას მიერ მიწოდებული ბურთები მუდამ ზუსტი და საშიში იყო, მაგრამ მარცხენა ფრთამ რომელსაც ბურთის გატანის მეტი საშუალება ჰქონდა, თავისი უპირატესობა ვერ გამოიყენა. სპარტაკელები ნერვიულ თამაშთან ერთად უხეშობაზე გადადიან. ისინი პაიჭაძეს, ჯეჯელავას და მ. ბერძენიშვილს ხელით იჭერენ და სარმით უმასპინძლდებიან, მაგრამ მსაჯ შელჩკოვს რატომღაც მხედველობიდან გამორჩა ასეთი “წვრილმანები”. გუნდის კაპიტანი ა. სტაროსტინი, რომელიც მოვალე იყო აღეკვეთა უხეშობა და ხშირი ყვირილი მოედანზე, თვით უხეშობდა და ამით ერთგვარ საშუალებას აძლევდა თავისი გუნდის მოთამაშეებს უფრო მეტად დაერღვიათ თამაშის წესრიგი.

“სპარტაკის” თავდამსხმელთა ხუთეულის წამყვანი სამეულის – სემიონოვის, კორნილოვისა და ალ. სოკოლოვის თამაში არ ჩანს მოედანზე. სემიონოვი და ალ. სოკოლოვი სავსებით დახურა ფროლოვმა, ხოლო შავგულიძემ – კორნილოვი.

პირველი ტაიმის 40-ე წუთზე სტუმრებს ბურთის გატანის ერთადერთი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ მარცხენა გარემარბმა – კორნილოვმა ვერ გამოიყენა ის და 7 მეტრიდან ააცილა კარს.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ – 0:0.

მეორე ტაიმი დაიწყო მოსკოველთა უპირატესობით. პირველ ხუთ წუთში “სპარტაკის” თავდამსხმელებს ორჯერ ეძლევათ ბურთის გატანის უდაო შესაძლებლობა, მაგრამ შავგულიძემ და ფრილოვმა ვირტუოზულად გადაარჩინეს თავიანთი კარი “მკვდარი” ბურთებისაგან.

სპარტაკელები კოლექტიური თამაშიდან გადავიდნენ ინდივიდუალურ თამაშზე და გარღვევებზე. ეს ტაქტიკაც თბილისის “დინამოს” დაცვის წინაშე უსუსური აღმოჩნდა.

მე–10 წუთიდან იწყება თბილისის დინამოელების მიერ მოწინააღმდეგის კარის “ბომბარდირება”. მ. ბერძენიშვილის, პაიჭაძისა და ჯეჯელავას ძლიერი შუტები აშკარა საფრთხეში აყენებს სპარტაკელებს. თავდასხმის ხუთეული იძულებულია დაეხმაროს დაცვის ხაზს. ტაიმის შუა პერიოდში ჯეჯელავას საჯარიმო მოედანზე სარმით უმასპინძლდებიან. უდაო “პენალტია”, მსაჯი კი კორნერს ნიშნავს, რაც აშკარა თვალისახვევად უნდა ჩაითვალოს.

90 წუთიანი ბრძოლა, რომელიც აღინიშნა თბილისის “დინამოს” აშკარა უპირატესობით, დამთავრდა ფრედ - 0:0. ამრიგად “დინამო” კვლავ გათამაშების ლიდერია.

თბილისის დინამოელებიდან ვირტუოზული თამაშით გამოირჩეოდნენ: ფროლოვი, შავგულიძე, ჯეჯელავა და პაიჭაძე.

დღეს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე მოსკოვის “სპარტაკის” და თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები ჩაატარებენ ამხანაგურ მატჩს. დასაწყისი 5 საათსა და 30 წუთზე.

ვ. გ–ლია.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 1 ივნისი, 1939 წ.